„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს:**

მუხლი 1.

შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №9 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 05.01.2018, N010250050.35.123.016412), კერძოდ, დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „4. მერიის სამსახურებია:

ა) ადმინისტრაციული სამსახური;

ბ) ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახური;

გ) საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახური;

დ) შიდა აუდიტის სამსახური;

ე) ზედამხედველობის სამსახური;

ვ) საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახური;

ზ) სოციალურ საკითხთა სამსახური;

თ) ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახური;

ი) სამხედრო სამსახური“.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე

გიორგი ჭიღვარია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი